„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №17-18 (9559-560) ● 1-30 სექტემბერი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

გილოცავთ!



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სფეროს ყველა მუშაკს, ლექტორ-მასწავლებლებს, აღსაზრდელებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს.

ახალგაზრდებო! თქვენ ხართ სამშობლოს დასაყრდენი, ყველაზე დიდი განძი და იმედი, ამ იმედს კი გამართლება უნდა. ამიტომ უნდა ეცადოთ გადალახოთ ყველა ბარიერი და გახდეთ განათლებული, განსწავლული, სულიერად და გონებრივად ჯანსაღი თაობა, რომ შეძლოთ იმ ტვირთის ღირსეულად ტარება, რასაც მამულისთვის მსახურება ჰქვია.

ფოტოობიექტივშია სკოლები და სკოლამდელი აღზრდის კერები

15 სექტემბერი

18 სექტემბერი

მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის მონაცემები ციფრებში

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არის 26 სკოლა, აქედან 20 საჯარო და 6 კერძო სკოლა,

მიმდინარე წელს პირველ კლასში დარეგისტრირდა 333 მოსწავლე, საჯარო სკოლაში დარეგისტრირებულ პირველკლასელებს გადაეცა კომპიუტერები, ასევე პირველკლასელთა დამრიგებლებმა მიიღეს 27 კომპიუტერი, 2022-2023 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, რომელთა რაოდენობა შეადგენს 47-ს, უახლოეს მომავალში ,,ჩემი პირველი კომპიუტერის ფარგლებში“ საჩუქრად გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები.

უფროსი მასწავლებლების რაოდენობა დღეის მდგომარეობით არის - 469, წამყვანი მასწავლებელი – 51, მენტორი მასწავლებელი - 2

მიმდინარე წელს 100%-იანი გრანტის მფლობელი გახდა – 7 აბიტურიენტი, 70%-იანი გრანტის მფლობელი – 14, 50%-იანი გრანტის მფლობელი – 38 .

ჩვენი ქვეყნის სიამაყე

საუდის არაბეთში გამართული ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დაიხურა!

ლაშა ტალახაძემ თავის მე-7 მსოფლიო ჩემპიონატზე ტიტული კვლავ 3 ოქროს მედლით შეინარჩუნა და მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ უძლეველია!

ტალახაძემ ატაცში 208/2015/220 კგ. დაძლია და მიმდინარე ჩემპიონატზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა!

ასევე საუკეთესო გამოდგა აკვრაში დაძლეული 245/253 კილოგრამითაც და კიდევ ერთ ოქროს მედალს დაეუფლა.

რა თქმა უნდა, ორჭიდში მოგროვილი 473 კილოგრამიც ოქროს მედლის მომტანი გახდა!

ლაშა ტალახაძე ქართული სპორტის ისტორიაში ერთადერთია, ვინც მე-7 მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება იზეიმა!

მუნიციპალიტეტის მერიაში

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

სენაკის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო და 6 კერძო სკოლაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს, მუნიციპალიტეტის პირველ, მესამე, კოტიანეთის სკოლებსა და კერძო სკოლა ლიცეუმში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ნანა ზარანდიამ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ინგა ქარდავამ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი კალანდარიშვილმა, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ლევან ჯინორიამ, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ყურაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დარეჯან ზარანდიამ მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის სკოლები სრულ მზადყოფნაშია, გამართულია ინფრასტრუქტურა. ყველა მოსწავლისთვის გათვალისწინებულია სახელმძღვანელოები და პირველკლასელთათვის - ბუკები. მიმდინარე სასწავლო წელს, პირველ კლასში დარეგისტრირებულ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 333 მოსწავლეს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ; საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო სახელმძღვანელოებით; სკოლებს ასევე გადაეცათ კომპიუტერული ტექნიკა და სხვა სასწავლო რესურსები;

მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამაში 1 663 მოსწავლე ჩაერთო; 253 პედაგოგის ტრანსპორტირებაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გამოიყო 60 000 ლარი; 2022-2023 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის 47 წარჩინებული მოსწავლე, პროგრამის – ,,ჩემი პირველი კომპიუტერი'' ფარგლებში, საჩუქრად კომპიუტერებს მიიღებს; დასრულდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია; დასრულების ეტაპზეა ნოსირის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროცესი; იწყება გენო ადამიას სახელობის I, ჟიული შარტავას სახელობის II, ასევე ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია; ასევე დაიწყება III საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი.

საბავშვო ბაგა-ბაღებში

სენაკის მუნიციპალიტეტის 27 საბავშვო და ბაგა-ბაღში, სასწავლო-სააღმზრდელო წელი, განახლებული ინფრასტრუქტურით და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პირობებით დაიწყო. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ინგა ქარდავასთან, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან ალექსანდრე ჯანჯღავასთან ერთად, მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცა. ,,ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებას გილოცავთ. ბავშვების განათლება და განვითარება ბაღიდან იწყება – ვაშენებთ, ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს, რათა პატარებს და მათ აღმზრდელებს სათანადო გარემო შევუქმნათ. ამ დროისთვის მიმდინარეობს ოთხი ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა. დავიწყეთ ძველი სენაკის, ფოცხოსა და ლეძაძამეს საბავშვო ბაღების ახალი კორპუსების მშენებლობა; დასრულების ეტაპზეა მესამე ბაგა-ბაღის მშენებლობის პროცესი. მეოთხე ბაგა-ბაღში ასევე მოვაწყეთ სპორტული მოედანი. ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. განახლების ეს პროცესი შეუქცევადი იქნება. წარმატებულ, სიახლეებით აღსავსე, ნაყოფიერ სააღმზრდელო წელს გისურვებთ" - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ. მიმდინარე სააღმზრდელო წელს, 900-მდე აღსაზრდელს კეთილმოწყობილი და სტანდარტების შესაბამისი გარემო დახვდა.

(გაგრძელება გვ. 3)

პატარა ოჯახი

პირველკლასელები

ნინია ფირცხალავა

ეს თვალებხატულა, ლამაზი გოგო ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის პირველკლასელი ნინია ფირცხალავაა, ძალიან მკვირცხლი, მახვილი გონებისა და საღი აზროვნების ბავშვია. იცის ბევრი ლექსი, ზღაპარი, უყვარს ცეკვა, სიმღერა, სპორტული თამაშები.

ნინიას ძალიან გაუჭირდა ბაღთან (№ 1 საბავშვო ბაღი), საყვარელ მასწავლებლებთან, მეგობრებთან განშორება, მაგრამ მაინც სკოლაში წასვლა ურჩევნია.

უეჭველად ნიჭიერი გოგონა გამოავლენს თავის შესაძლებლობებს პედაგოგ მეგი გრიგოლიასთან და წარჩინებული მოსწავლე იქნება. საგნებთან ერთად სკოლაში შეისწავლის თანატოლების დაფასებას, უფროსების შეხედულებების და აზრების პატივისცემას.

დედ-მამა, ბებიები და ბაბუები ულოცავენ ნინიას სასწავლო წლის დაწყებას და პირველ ნაბიჯებს ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე.

მარიამ კვირაია

ლაურა არახამიას და გია კვირაიას ნებიერა ქალიშვილი მარიამი ,,უკვე დიდი" გოგოა, ჭკვიანი, ბეჯითი, შრომისმოყვარე. უყვარს მეცადინეობა, არის ყურადღებიანი და მოწესრიგებული, მშვიდი და გაწონასწორებული. პატივს სცემს უფროსებს. ცნობს ანბანის ყველა ასოს. დამოუკიდებლად კითხვაც შეუძლია. ყველაფერი კი ქალაქის № 6 ბაღში ისწავლა.

საყვარელი სათამაშოები სასკოლო ნივთებმა: წიგნებმა, რვეულებმა, ფერადმა ფანქრებმა ჩაანაცვლეს.

15 სექტემბერს ახალი ფურცელი გადაიშალა მარიამის ბიოგრაფიაში. სკოლა ,,მარიოტაში" გადადგა პირველი ნაბიჯები, პირველი მასწავლებლის, ლალი გრიგოლიას ხელმძღვანელობით ცოდნის მოსაპოვებელ გზაზე.

მშობლები ქალიშვილს სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ და უსურვებენ წარმატებებს ამ მეტად რთულ და საინტერესო გზაზე.

დავით გოქაძე

დავითი დედ-მამის, ბებია-ბაბუის ნებიერა ბიჭია, ცოცხალი, მიზანდასახული, მოსიყვარულე. ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული, არის ზრდილობიანი, თავაზიანი.

დავითი კერძო სკოლა ,,აპოდიქსის" პირველი კლასის მოსწავლეა. დედა თეა თაქთაქიშვილი ამავე სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი, ამიტომ ისინი სკოლისაკენ მიმავალ გზას დილით ერთად მიუყვებიან, დავითი გზადაგზა უყვება მას ახალ მეგობრებთან, პირველ მასწავლებელთან ურთიერთობის ამბებს. ძალიან მოსწონს ისინი, სწამს, სკოლაში დიდი ცოდნას და გამოცდილებას მიიღებს.

ბებია და ბაბუა სკოლაში წასვლას ულოცავენ უსაყვარლეს შვილიშვილს და უსურვებენ ცოდნის გზაზე დიდი წარმატებებს.

ანდრია ჯოჯუა

საზრიანი, გონებაგახსნილი, ჭკვიანი, კომუნიკაბელური, ხალისიანი, მოსიყვარულე - ასე ახასიათებენ ანდრია ჯოჯუას, რომელმაც წელს პირველად შეაღო ლეძაძამეს საჯარო სკოლის კარები.

შარშან, როცა მისი ტყუპი ძმები -გაბრიელი და დანიელი- პირველკლასელები გახდნენ, მასაც გაუჩნდა ინტერესი სკოლისადმი, ერთი წელი მოლოდინის რეჟიმში გაატარა, და აი, დადგა ნანატრი დღეც, როცა თანატოლებთან ერთად სასკოლო მერხს მიუჯდა და ყურადღება პირველ მასწავლებლს, ქალბატონი მანონი თედორაძეს მიაპყრო. მისი სურვილია კარგად ისწავლოს და მშობლების, ახლობლების იმედები გაამართლოს.

ვულოცავთ ანდრიას სასწავლო წლის დაწყებას, ვუსურვებთ სწავლითა და ყოფაქცევით იყოს გამორჩეული, რათა ღირსეულ მოქალაქედ, მამულიშვილად ჩამოყალიბდეს.

დემეტრე მესხი

დემეტრე 15 სექტემბერს პირველად მიუჯდა სასკოლო მერხს და პირველად განიცადა დიდი ემოცია და სიხარული, რასაც პირველკლასელობა ჰქვია. სკოლაში პირველი მასწავლებელი მეგი გრიგოლია და ახალი მეგობრები დახვდა.

დემეტრე მახვილი გონების და საღი აზროვნების ბავშვია. იცის წერა, კითხვა. გამოირჩევა სწრაფი აზროვნებით, ადვილად სწავლობს ლექსებს, № 1 საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში ანბანთან ერთად შეისწავლა საწყისი ეტაპისათვის საინტერესო საჭირო მათემატიკური მოქმედებანი, უყვარს კომპიუტერული თამაშები, ფეხბურთი.

საზღვარგარეთ მყოფ მამას სოციალური ქსელით ეკონტაქტება, მას პირობა მისცა, რომ სკოლაში კარგად ისწავლის და მშობლებს გაახარებს.

დედ-მამა მანანა ლაშქარავა და ლევან მესხი სკოლაში წასვლას ულოცავენ თავიანთ პირმშოს და უსურვებენ უფლის წყალობას, წარმატებულ სწავლას, მშვიდობიან ზეცას.

ბრიტანულ საზაფხულო სკოლაში

გვახარებს, რომ მუნიციპალიტეტის წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა იზრდება. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ქალაქის მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლე ნია მალანიაზე.

ნია ბეჯითი, შრომისმოყვარე, მიზანდასახული გოგონაა. ის ივნისში გამართული TOEFL -ის ინგლისური ენის საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულია.

ნიამ, როგორც გამარჯვებულმა, ორი კვირა დაჰყო ბრიტანულ საზაფხულო სკოლაში, სადაც მან დრო მეტად ნაყოფიერად და საინტერესოდ გაატარა და ჩართული იყო საზაფხულო სკოლის შეთავაზებულ ყველა აქტივობაში. მონაწილეობდა სპექტაკლში, იყო ჯგუფის ლიდერი.

ბანაკში ყოფნის პერიოდში ნიამ გააკეთა პრეზენტაცია თემაზე - „მომავალში ვინ გვინდა რომ გამოვიდეთ". ხოლო მისმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა – თამაშში -,,კითხვებზე – პასუხი" (Quidditch).

მოსწავლის ინგლისური ენის პედაგოგი გურანდა ვახანია გახლავთ, რომელიც ნიას წარმატებით ამაყობს.

მ. ჭუბაბრია

(გაგრძელება)

შეხვედრა 100-ანი გრანტის მფლობელებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად, 100%-იანი გრანტის მფლობელ სენაკელ კურსდამთავრებულებს, ასევე, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდა. 2023 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების გრანტი 8 კურსდამთავრებულმა მოიპოვა. მუნიციპალიტეტის მერმა, ახალგაზრდებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს, მოპოვებული წარმატებები მიულოცა. ,,ჩვენი ახალგაზრდების უმთავრესი ღირებულება ცოდნაა. განათლების მიღებაზე მოტივირებული თაობა კი ქვეყნის უკეთესი მომავლის ფუნდამენტია. თქვენს ცხოვრებაში პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი იწყება. წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ სრულყოფაში, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩემი დიდი სურვილია, წლების შემდეგ, დაუბრუნდეთ მშობლიურ სენაკს და თქვენი პროფესიონალიზმი მის განვითარებას მოახმაროთ“ - აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერია ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე წარმატებულ ახალგაზრდებს ფულად ჯილდოს გადასცემს.

სენაკმა უმასპინძლა

მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, გაიმართა საღამო - შეხვედრა მონატრებულ ქალაქთან და მსმენელთან.

სენაკმა უმასპინძლა თავის ღირსეულ შვილს, ქართული თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, კოტე მახარაძის სახელობის ტიტულის მფლობელს, სენაკის საპატიო მოქალაქეს, მურმან ჯინორიას.

საღამოს უძღვებოდა თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი, ნიკოლოზ წულუკიძე.

საღამოს აკომპანირებას უწევდა პიანისტი, ნიკა ნიკვაშვილი და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინო, ლელა მჭედლიძე.

საღამოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან, ნანა ზარანდიასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

საინფორმაციო შეხვედრები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრისა და საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებმა, საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

„აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, ადგილობრივ მეწარმეებს, ფერმერებს, ბიზნეს. სექტორს, მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია, ცენტრის მიერ, რეგიონის მასშტაბით, საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების, ბიზნეს უნარების გაუმჯობესებისა და საინფორმაციო მომსახურების მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებზე.

საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებმა კი - პროექტის - ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვაში ფერმერების ჩართულობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის როლის გაძლიერების ხელშეწყობა“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

პროექტი მიზნად ისახავს ფერმერების ჩართულობის გაზრდას და მათთან თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სენაკში, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 76-86 კმ-ზე, მასშტაბურ სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული მონაკვეთის სრულ რეაბილიტაციას, ხიდბოგირების, ეზოების შესასვლელებისა და გაბიონების მოწყობას.

მიმდინარე სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლევან უჩანეიშვილთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულება 12 687 614 ლარს შეადგენს.

ფულადი ჯილდო გადაეცათ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, N1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეს, ანასტასია ჯანაშიას, ამავე სკოლის 2023 წლის კურსდამთავრებულს, ლიზი გვაძაბიას, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულებს - ანა შამათავას და ნინი ქათამაძეს შეხვდა. მუნიციპალიტეტის მერმა, ახალგაზრდებს მიღწეული შედეგები მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

N1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ, ანასტასია ჯანაშიამ, მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგსა და გერმანიის ქალაქ შტუდგარდში გამართულ გაეროს პროექტში - ,,ლიდერი ახალგაზრდებისთვის.”

ამავე სკოლის 2023 წლის კურსდამთავრებული, ლიზი გვაძაბია, სრული დაფინანსებით ჩაირიცხა უნგრეთში, Pecs უნივერსიტეტში (University of pecs), არქიტექტურის -არქიტექტურული ინჟინერიის მიმართულებით; წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა, ანა შამათავამ და ნინი ქათამაძემ, პირველი ადგილი დაიკავეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - ,,ბავშვები თანასწორობისთვის“. მათმა პროექტმა, 80 პროექტს შორის მოიპოვა გამარჯვება და მიმდინარე წლის ოქტომბერში, ისინი ბელგიაში - ბრიუსელსა და ბრიუგეში გაემგზავრებიან.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, წარმატებულ მოსწავლეებს, წამახალისებელი ფულადი ჯილდოები გადასცა.

ფულადი ჯილდოები ასევე გადაეცათ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებს: ნანა ჩიტაიას, მარიამ ანთიას და გიორგი შამათავას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში (FLEX) და პროგრამის გამარჯვებული მონაწილის სტატუსი მოიპოვეს. ისინი უკვე გაემგზავრნენ აშშ-ში სასწავლებლად.

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომა გაიმართა



სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, მუნიციალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საბჭოს წევრებს, შშმ პირთა და ოჯახის წევრთა მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების შემფასებელი კომისიის დებულება გააცნო. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. ამასთან, ეფექტური იქნება, თუ პროექტები განხორციელდება შშმ პირთა საბჭოს, არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით და შშმ პირთა ჩართულობით. პროექტების წარმატებული განხორციელება დადებითად აისახება იმ გამოწვევებზე, რაც შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებობს.

სხდომაზე, საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, არჩეულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ოჯახის წევრთა მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების შემფასებელი კომისიის წევრები, კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე.

შშმ პირთა საბჭოს ბიუჯეტის ათვისებისა და კონკურსის გამოცხადების თაობაზე ისაუბრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ,,ჰანგის“ თავმჯდომარემ, რუსლან საჯაიამ.

შშმ პირებისთვის სხვადასხვა სახის სამედიცინო სახარჯი მასალების დაფინანსების თაობაზე, კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა იური ოდიშარიამ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო საქართველოში პირველი და ერთადერთია, რომელსაც გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი და შეუძლია მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადება.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას მერიის სტრუქტურული ერთეულების, მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა ახალგაზრდულ საბჭოს წევრებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და სამსახურის სპეციალისტებთან - გვანცა მალანიასთან და ლატავრა თოდუასთან ერთად, ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან შეხვედრა გამართა. საბჭოს წევრებმა მერთან შეხვედრისას არაერთი ინიციატივა გააჟღერეს, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მერის სათათბირო ორგანომ - ახალგაზრდულმა საბჭომ თავმჯდომარედ, წარმატებული სენაკელი ახალგაზრდა, ნანო მისაბიშვილი, მოადგილედ - ანა ქეცბაია აირჩია. ,,მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდული საბჭო აქტიურად ჩაერთვება ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩვენ ასევე ერთობლივად დავიწყებთ ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესს. თქვენი ხედვები მნიშვნელოვანია, რათა მაქსიმალურად სწორად განვსაზღვროთ მომავალი თაობისთვის საჭირო სტრატეგია. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ გავაგრძელებთ შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციას ახალგაზრდების საკეთილდღეოდ”, – აღნიშნა ვახტანგ გადელიამ. ახალგაზრდული საბჭო ირჩევა 2 წლის ვადით და დაკომპლექტებულია 14 -დან 29 წლის ჩათვლით, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებით. ახალგაზრდული საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება; მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა; ახალგაზრდების ინფორმირება დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ.

(გაგრძელება გვ 4)

აგროტური

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგ-

რამის ფარგლებში, ფოთსა და ბათუმში, მორიგი აგროტური მოეწყო. აგროტურის მიზნობრივი ჯგუფი – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, ფერმერები და დაინტერესებული პირები – თემის განვითარების ჰაბს ,,დიოსკურიას“ ესტუმრნენ, რომელიც 2000 წელს, დევნილმა ქალბატონმა, ნონა ხუხიამ დააფუძნა და მიზნად აფხაზეთიდან დევნილთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ისახავდა. ნონა ხუხია, პროექტის მონაწილეებს, ჰაბის შექმნის ისტორიასა და საქმიანობის არეალზე ესაუბრა. მორიგი საინფორმაციო შეხვედრა აჭარის აგროსერვისცენტრის გვარა-ხეცუბნის სანერგე მეურნეობაში გაიმართა, სადაც მენეჯერმა, რომან ჩხაიძემ, მთავარმა სპეციალისტმა მევენახეობის დარგში, ვალერი ცეცხლაძემ და მცენარეთა დაცვის სპეციალისტმა, ზურაბ ზუმბაძემ, დაინტერესებულ პირებს დეტალურად გააცნეს ვაზისა და ხეხილის მოვლა-მოყვანის, წამლობისა და მყნობის საკითხები. აგროტური მახინჯაურში, ბერიძეების ღვინის მარანში სტუმრობით დასრულდა. ,,ბერიძეების ღვინის მარანი“ დაფინანსებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ,,სოფლად მეწარმეობის განვითარების“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში. მეწარმემ, ზაირა ჯიბლაძემ, ქართული ვაზის ჯიშებზე, ღვინის სახეობებზე, ჭაჭისა და ხილის ბრენდებზე ისაუბრა. აგროტურის მონაწილეებმა დააგემოვნეს ,,ბერიძეების ღვინის მარნის“ ჩხავერისა და ქინძმარაულის ყურძნის ღვინოები. აგროტურის მიზანია სოფლის მეურნეობის დარგში დაგროვილი გამოცდილებების ურთიერთგაზიარება, ერთობლივი სამომავლო პროექტების დასახვა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში განხორციელება.

გამარჯვებულ სპორტსმენები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად, ტაეკვანდოს მსოფლიო ჩემპიონატში (ICTF) გამარჯვებულ სპორტსმენებს, პრიზიორებს და მათ მწვრთნელს, საქართველოს ტაეკვანდოს ICTF ფედერაციის პრეზიდენტს, ლაშა ჯოლოგუას შეხვდა, მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. 14-16 ივლისს, იტალიის ქალაქ რენდეში, გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ტაეკვონდოში (ICTF), სადაც მსოფლიოს 18 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოს სახელით, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, ხუთმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა და ხუთივემ წარმატებულად იასპარეზა. ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ოთო დემურია (9 წლის); მე-3 საპრიზო ადგილზე გავიდა საბა ფხაკაძე (11 წლის). დიდებს შორის, მე-2 ადგილი დაიკავა ლაშა ჯოლოგუამ, ხოლო მესამე ადგილებზე გავიდნენ უშანგი და ცოტნე მიშველაძეები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებულ სპორტსმენებს ფულად ჯილდოს გადასცემს.

ფეინთბოლის ჩემპიონატი

ქალაქ სენაკში, პირველად, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ფეინთბოლის ჩემპიონატი გაიმართა.

თამაშში მონაწილეობდა 9 გუნდი, მათგან ფინალში გადავიდა 2 - ,,აისისი" და ,,გორგასლიანები".

ფეინთბოლის სენაკის ჩემპიონატის გამარჯვებული, გუნდი ,,აისისი" გახდა.

გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფეინთბოლის ეროვნულ ჩემპიონატში.

ჩემპიონატს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილესთან, მანანა გვიჩიასთან და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტთან, გვანცა მალანიასთან ერთად დაესწრო.

ჩემპიონატი, საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

მოქალაქეთა მიღება

მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოქალაქეებთან მორიგი მიღება გამართა.

ადგილობრივებმა მუნიციპალიტეტის მერს მათი პრობლემები გააცნეს და მათთვის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

,,ყველა შესაბამის სამსახურთან ერთად, მაქსიმალურად ვცდილობ დროულად და ეფექტურად გადავწყვიტო ჩვენი მოქალაქეების წინაშე მდგარი პრობლემები. მსგავსი ხასიათის შეხვედრები გაგრძელდება. ჩემი მიზანია ვიზრუნო თითოეული სენაკელის კეთილდღეობისთვის“ - აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

შეგახსენებთ, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღება ყოველი კვირის ოთხშაბათს იმართება.

მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

0 413 27 58 58 ან მოგვწერეთ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდებზე:

https://www.facebook.com/CityHallOfSenakiMunicipality
https://www.facebook.com/GDVakhtangGadelia

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2023 წლის 29 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ხუთი საკითხის განხილვა.

სხდომის დაწყებამდე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად და აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია,

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია,

3. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია,

4. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია,

5. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია.

ალექსი დემურია
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

ახალგაზრდულ ბანაკში

ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკს, წელს, პირველად, სენაკელი ახალგაზრდებიც შეურთდნენ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ეგიდით, ანაკლიის ახალგაზრდულმა ბანაკმა, წელს 2400 ახალგაზრდა 10 ნაკადად მიიღო.

ბანაკში მყოფმა 15 სენაკელმა ახალგაზრდამ, თანატოლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ინტერაქციულ-საგანმანათლებლო და მოწვეულ სტუმრებთან არაფორმალურ გარემოში გამართულ შეხვედრებში, კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში, სპორტულ ოლიმპიადასა და სხვადასხვა ტურნირში.

სენაკელ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და ამავე სამსახურის სპეციალისტთან, გვანცა მალანიასთან ერთად შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობის და ინფორმაციული
უზრუნველყოფის განყოფილება

იცნობდეთ

დღეს ჩვენი სტუმრები არიან ახალგაზრდები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეროვნული გამოცდები და 100%-იანი დაფინანსებით ჩაირიცხნენ ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც დაეუფლებიან მათთვის საინტერესო პროფესიას, აითვისებენ მეცნიერების საფუძვლებს, განიმტკიცებენ ცოდნას, შეიძენენ გამოცდილებას...

თითოეულ მათგანისათვის დაიწყო ახალი ეტაპი ცხოვრებაში. სილაღე, თავისუფლება, დამოუკიდებლობის პირველი საფეხურები, ახალი მეგობრები, სიახლეები, წარმატების მოპოვების უფრო დიდი სურვილი. თითოეული მათგანი აცნობიერებს, რომ უკვე ბავშვი აღარ არის, რომ ცხოვრების იმ ეტაპზე ხარ, როცა უნდა განვითარდე და შენი გზა გაიკვლიო ცხოვრებაში. მიიღო უმაღლესი განათლება, გახდე პროფესიონალი და ჩაება ქვეყნის განვითარების ფერხულში.

ჩვენ დავინტერესდით ამ ახალგაზრდებით და ერთი შეკითხვით მივმართეთ:

თქვენს ცხოვრებაში დაიწყო ყველაზე ლამაზი და საპასუხისმგებლო ეტაპი-სტუდენტობა, როგორია თქვენი შინაგანი მზადყოფნა ახალ გამოწვევებთან და სირთულეებთან შესაჭიდებლად

ტატა სიჭინავა



სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ. სენაკის მეორე საჯარო სკოლა. ჩაირიცხა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში

„მომავალი ეკუთვნის მათ, ვისაც სჯერა მათი ოცნების სილამაზის...” – ჩემი ცხოვრების მთავარი სლოგანი რუზველტის ეს ციტატაა, რომელიც მუდამ მეხმარება დასახული მიზნის სრულყოფაში!

ჩემთვის განათლება მრავლისმომცველი ცნებაა, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს! სტუდენტობა კი – დიდი მიზნებისკენ პატარა ნაბიჯებით მიმავალი გზაა...

ერთ-ერთი მიზანიც შესრულებულია! – ჩემთვის დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა ძალიან დიდი გამოწვევა და ამავდროს უზომო სიამაყეა!

მიზნის ბოლომდე რეალიზებისთვის კი, წინ დიდი, პასუხისმგებლობით აღსავსე და საინტერესო გზაა...

გიო მზარელუა

ვლადიმერ კომაროვის სახელობის თბილისის ნომერ 199 საჯარო სკოლა, ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში, კომპიუტერულ მეცნიერებასა და მათემატიკის ფაკულტეტზე.

მზადყოფნას რაც შეეხება, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მზად ვარ. ამ მომენტს დიდი ხანი ველოდი და ერთგვარად, ოცნებაც კი ამიხდა. ასე, რომ ჩემთვის ახლა იწყება საკმაოდ რთული და საინტერესო, გამოწვევებით სავსე ეტაპი, რომელსაც ძალიან, ძალიან მოუთმენლად ველი.

ნიკა წირქვაძე



სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ. სენაკის მეორე საჯარო სკოლა, ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ფაკულტეტზე

ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა სამეცნიერო-კვლევითი სფერო და მსგავსი კომპლექსური საკითხების შემსწავლელი ფაკულტეტი ამ უნივერსიტეტში ვიპოვე. ვფიქრობ, საიტერესო სტუდენტური ცხოვრება მელის. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს პედაგოგებს. მინდა გითხრათ, რომ გეოგრაფია, რომელიც აუცილებელი და საჭირო მეცნიერებაა ამ ფაკულტეტზე წარმატებული სწავლისთვის, მასწავლებლის გარეშე, დამოუკიდებლად მოვამზადე და უმაღლესი შეფასებაც მივიღე. მინდა გავამხნევო და წარმატებები ვუსურვო მომავალ აბიტურიენტებს და ვუთხრა მათ, რომ შრომას და ცოდნას ყოველთვის აქვს ფასი.

სალომე ძიგუა



კერძო სკოლა „მარიოტა”. ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე.

პირველ რიგში ძალიან გამიხარდა ის, რომ შრომამ შედეგი გამოიღო (არა მარტო ჩემმა, არამედ ყველა მასწავლებლისა და ჩემი მშობლებისამ) დაფინანსებაც მომაპოვებინა. ეს ყველაფერი კი უფრო მეტ მოტივაციას მმატებს და ცხოვრების შემდგომ ეტაპზე გადასვლას მიმარტივებს. სტუდენტის ცხოვრება არ არის მარტივი, ამას თან ახლავს უამრავი ემოცია, თუმცა მოუთმენლად ველი სწავლის დაწყებას და ახალი გამოწვევებისთვისაც მზად ვარ.

ილონა ცინარიძე

ქალაქის № 3 საჯარო სკოლა, ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე.

სკოლაში სწავლის პერიოდში ვმონაწილეობდი სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადებში, მოპოვებული მაქვს 16 გამარჯვება. ჩემთვის ეს ეტაპი საკმაოდ წარმატებული, საინტერესო და სასიამოვნო სიურპრიზებით იყო სავსე, ახლა კი მაქვს სტუდენტის სტატუსი.

ვიაზრებ, რომ წინ ახალი გამოწვევები მელის და ეს ჩემთვის მეტად ამაღელვებელია, თუმვა დარწმუნებული ვარ, რომ დავძლევ ყველა პრობლემას და აუცილებლად მივაღწევ დასახულ მიზანს. მინდა ვასახელო მშობლიური სკოლა და ჩემი ქალაქი. მინდა იამაყონ ჩემით, ამიტომ მთელი ძალით ვეცდები, არ გავუცრუო იმედები საკუთარ თავსა და ჩემს გულშემატკივრებს.

ზურა წირქვაძე



სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ. სენაკის მეორე საჯარო სკოლა. ჩაირიცხა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

ძალიან მინდოდა კონკრეტულად ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი და შემესწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო გარემოში მოვხვდი, კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სკოლას და განსაკუთრებით ჩემს მასწავლებლებს, რომლებიც დამეხმარნენ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მომზადებაში:, თამაზ საჯაიას, მაია დგებუაძეს, ირმა წულაიას და ჯონი ხვიჩიას.

კესო კილასონია

11 წელი სწავლობდა N2 საჯარო სკოლში, საბოლოოდ დაამთავრა კერძო სკოლა ლიცეუმი. ჩაირიცხა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში-ინგლისურ ფილოლოგიაზე (ინგლისურენოვანი)

ნამდვილად დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავარ, ვაანალიზებ, რომ ახალი და ყველაზე საინტერესო ეტაპი იწყება ჩემს ცხოვრებაში, ისეთი უცნაური შეგრძნება მაქვს, რომელიც აქამდე არასდროს განმიცდია 12 წლის განმავლობაში, საუკეთესო განცდაა, როცა შენი შრომის შედეგს იმკი....თურმე სულ სხვა რამ ყოფილა სტუდენტობა და ვიმედოვნებ, ყველაფერი წინ მაქვს. წარმატებებს ვუსურვებ ყველა პირველკურსელს.

ლიზი ქავთარაძე

კერძო სკოლა”მარიოტა”, ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში-საზღვაო ნავიგაციის ფაკულტეტზე

პირველ რიგში ყველას ვულოცავ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და ვუსურვებ წარმატებას!

ყველა ჩვენგანი ელოდა ცხოვრების ამ ეტაპის დადგომას და აი ეს დროც მოვიდა,შესაბამისად, სტუდენტების და მათ შორის ჩემი შინაგანი მზადყოფნა არის უმაღლესი, რადგან სტუდენტობა არის პერიოდი, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გარდამტეხ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში, ვინაიდან იღება ახალი შესაძლებლობის კარები და წინ გველის უამრავი თავგადასავალი.

ყველა პროფესიას აქვს მახასიათებლები, რომლებიც შემდგომში ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება, ჩემ მიერ არჩეული პროფესია კი მოითხოვს: უდიდეს პასუხისმგებლობას, ნებისყოფასა და მუდმივ მზადყოფნას ახალი გამოწვევებისთვის, რადგან მოგვიწევს შერკინება ოკეანესთან, ყველას თავისი წილი მცირე “ბრძოლა” ელის რათა მიაღწიონ მიზანს, ხოლო ჩვენი საბრძოლო იარაღი, რომლითაც შევძლებთ გამარჯვებას, ჩვენ მიერ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნა იქნება.

მარი გნოლიძე



სენაკის მეშვიდე საჯარო სკოლა, ჩაირიცხა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში.

ბედნიერი ვარ, რადგანაც ჩავირიცხე სასურველ უნივერსიტეტში. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ვიყო სეუს სტუდენტი. ეს პირველი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩემს ცხოვრებაში და ვფიქრობ რომ ეს იქნება რაღაც განსაკუთრებული სიახლის საწყისი ახალი ღირებულებებით და მიზნებით. მინდა წარმატებები ვუსურვო ყველა პირველ კურსელს ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე.

გიორგი ჭვანია



სენაკის მეორე საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე:

სიტყვებით ძნელია იმ შეგრძნების გადმოცემა, რასაც განვიცდი. ძალიან სასიამოვნოა, როცა იაზრებ, რომ სწავლას საოცნებო უნივერსიტეტში გააგრძელებ. მგონია სტუდენტობა ძალიან მაგარი უნდა იყოს. ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავდივარ. მოტივირებული ვარ, რომ გავაგრძელო სწავლა ინტენსიურად, მქონდეს უმაღლესი აკადემიური მოსწრება და სათანადოდ ავითვისო ყველა ის მასალა, რომელიც დამეხმარება წარმატებული მომავლის შექმნაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და სტუდენტობას, წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების ახალ, ძალიან მნიშვნელოვან, თავგადასავლებითა და შესაძლებლობებით სავსე ეტაპზე.

მ. ჭონია

პროფესიული ასპექტით წარმოჩენილი

სენაკის მესამე საჯარო სკოლის დირექცია (დირექტორი მარინე ნანეიშვილი) და პედაგოგიური კოლექტივი პრფესიული ერთგულებით მიუყვება სწავლება-აღზრდის რთულ, მაგრამ წარმატებით აღსავსე გზას.

სკოლის პედაგოგიური კორპუსი მიზნობრივად მუშაობს, რათა მოსწავლეებს ცოდნასთან ერთად მისცეს თვითშემოქმედების, ინიციატივის, შეუპოვრობის უნარი.

ყოველი ახალი სასწავლო წელი ახალი და კიდევ ერთი საინტერესო პერიოდია საგანმანათლებლო დაწესებულებების ცხოვრებაში.

ჩვენი რესპონდენტი სენაკის მესამე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის წამყვანი მასწავლებელი ჯილდა ხუნჯუა გახლავთ. მან დაამთავრა თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა მცირე აკადემიის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ''სპეციალობა - გერმანული ენა''. პედაგოგიური მოღვაწეობა ეკის საჯარო სკოლაში დაიწყო გერმანული ენის მასწავლებლად. სენაკის მესამე საჯარო სკოლაში გადმოსვლის შემდეგ მუშაობა განაგრძო დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

ქალბატონმა ჯილდამ ჩააბარა მასწავლებლის კომპენტენციის დადასტურების გამოცდა, როგორც გერმანულ ენაში, ასევე დაწყებითი კლასების სასწავლო დისციპლინებში. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღების შემდეგ, მისთვის კარიერული წინსვლა წამყვანი მასწავლებლის წოდება გახლდათ, რომელიც წელს მიენიჭა.

ჯილდა ხუნჯუა ფლობს სწავლება-აღზრდის პროგრესულ მეთოდებს, ცდილობს ღრმად ჩაიხედოს თითოეული მოსწავლის სულში. ბავშვებს ასწავლის ერთმანეთის დაფასებას, ერთმანეთის შეხედულებებისა და აზრების პატივისცემას.

-მიყვარს ჩემი პროფესია, საოცარი შეგრძნებაა, როცა გაქვს ცოდნა, შეგიძლია იგი გაავრცელო და გადასცე მოსწავლეს. ბედნიერებაა ხედავდე თუ როგორ იზრდება შენს თვალსა და ხელს შუა ბავშვი, როგორ ხდება იგი წარმატებული. ვთვლი, რომ მშობელი უნდა ეხმარებოდეს მასწავლებელს. თვალყურს ადევნებდეს შვილის დავალებისა და გაკვეთილის მომზადებას, მაგრამ არამც და არამც არ უნდა უწერდეს ბავშვს დავალებას.

წელს ჯილდა მასწავლებელს 18 მოსწავლე ჰყავს, რომლბსაც მასწავლებელთან ერთად დიდი გზა აქვთ გასავლელი. მათ უნდა ისწავლონ წერა-კითხვა, მათემატიკური მოქმედებანი, ივარჯიშონ ბუნებასა და ხელოვნებაში. საჭირო ცოდნასთან ერთად შეიმეცნონ მთავარი ადამიანური ღირებულება - სიყვარული. და გამოიმუშავონ თანაგრძნობის უნარი.

დაფაზე ჩამწკრივდებიან ასოები '' ანი, ბანი, განი, გან-ს მოჰყვება დონი, ენ-ი, ენის გასაწაფი, თვალის მოსალხენი''... იწყება მასწავლებლისა და მოსწავლეების ცხოვრებაში ახალ-ახალი ინფორმაციებით და მრავლისმთქმელი ურთიერთობებით დატვირთული დღეები.

კოლეგები და მშობლები ენდობიან და აფასებენ ჯილდა მასწავლებელს. მესამე საჯარო სკოლის დირექტორის - ქალბატონ მარინე ნანეიშვილის შეფასებით ჯილდა ხუნჯუა გამოირჩევა კომუნიკაბელურობით, ობიექტურობით, პასუხისმგებლობის გრძნობით, არჩეული პროფესიის სიყვარულით, სიახლეებისკენ სწრაფვით.

- 4 წელია ქალბატონი ჯილდა მუშაობს მესამე საჯარო სკოლაში - ამბობს მარინე ნანეიშვილი. არის დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი, კოლეგებს უზიარებს თავის გამოცდილებას. ამასთან მთავარია არა წოდება და ტიტული, არამედ ის ღრმა ადამიანური ურთიერთობა სასკოლო საზოგადოების წევრებთან, რომლითაც იგი გამოირჩევა.

ჩვენი სკოლა კარგი მაჩვენებლებით ხვდება ახალ სასწავლო წელს. გვყავს ერთი 100%-იანი, ერთი 70%-იანი და ხუთი 50%-იანი გრანტის მფლობელი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით. 7-მა ოქროს მედალი დაიმსახურა, ჩვენმა მოსწავლეებმა არაერთი წარმატება მოიპოვეს სასკოლო, რეგიონალურ და რესპუბლიკურ საგნობრივ ოლიმპიადებზე. მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ყველა პირველკლასელს, პირველკურსელს, დამწყებ მასწავლებელს, ზოგადად მთელ პედაგოგიურ საზოგადოებას. ვუსურვებ მათ წარმატებებს და მოსწავლეთა ინტერესების სფეროს შესაბამის ხარისხიან სწავლებას.

ქალბატონი ჯილდა ხუნჯუა საუკეთესო დედა და მეუღლეა. შვილები ნიკა და დავითი სტუდენტები არიან, ნიკა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია, დავითი ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკის პროფესიას ეუფლება. მეუღლე დავით სიჭინავა პროფესიით იურისტია.

დღეები სულაც არ ჰგვანან ერთმანეთს, ყოველი დღე აღსავსეა სიახლით, მოულოდნელობებით, წარმატებებით, ზოგჯერ იმედგაცრუებითაც კი. მაგრამ, დიდია მოტივაცია, როდესაც უყვარხართ და გაფასებენ.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს პედაგოგ ჯილდა ხუნჯუას ახალ სასწავლო წელს და უსურვებს წარმატებულ საქმიანობას.

მედეა გაღაშურია

ჩვენი უპირველესი მიზანი



მრავალფეროვანია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული ხალხური ცეკვა, რომლის ტრადიციული, სწორი შესრულება დიდ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს და დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ამიტომ აღსანიშნავია, რომ კულტურითა და ტრადიციებით გამორჩეულ ჩვენს ქალაქს ჰყავს საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „მეგა"- რომელიც გამორჩეულია თავის ხელწერით. ეს ანსამბლი დაჯილდოებულია ,,საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარისა და საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენებით", საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ,,ქართული კულტურის ქომაგის" წოდებით... კიდევ სხვა მრავალი ჯილდოებითა და სიგელებით, რომელიც ანსამბლს აქვს მიღებული და ამშვენებს „მეგა"-ს დარბაზს.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფია ეკატერინე გაბრავა. ის წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა ხელოვნებისა და კულტურის სფეროში. არის ხატვისა და ხელოვნების ისტორიის პედაგოგი.

ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფია მამუკა მესხიშვილი.

ქალბატონო ეკატერინე, გვესაუბრეთ ანსამბლის შექმნის ისტორიასა და პირველ ნაბიჯებზე, მის სახელწოდებაზე.

ჩვენი ანსამბლი სამ ათეულ წელს ითვლის. ქორეოგრაფიული მოღვაწეობა დავიწყეთ ჩვენს სახლში, შემდეგ წლების მანძილძე ვიყავით მეოთხე საშუალო სკოლაში, კინოთეატრში. სკოლა- გიმნაზიის სპორტულ დარბაზში. მინდა მადლობა გამოვხატო იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ამ წლებში გვერდით გვედგნენ, გვმასპინძლობდნენ. ესენია: ჟორა ავალიანი, მეუფე შიო, აბო ტორჩინავა. უფალმა საკუთარი დარბაზის ქონის სურვილი გამბედაობა და აშენების საშუალება მოგვცა. და დღეს საკუთარი ფართი გვაქვს. რაც შეეხება ანსამბლის სახელწოდებას, შეირჩა ჩვენი გვარების პირველი მარცვლებიდან, მესხიშვილი და გაბრავა.

თქვენი ანსამბლი გამორჩეულია, როგორ ახერხებთ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ყოფნას?

პირველ რიგში მთავარია საქმისადმი სიყვარული, რომელიც დღემდე გრძელდება. ბავშვებთან მუშაობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, ხელმძღვანელობა კი ძალიან რთული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელოვნების მიმართულებას უძღვები. უნდა შეგეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება. როცა საქმეს საფუძვლად სიყვარული უდევს, ყოველთვის ყველაფერი კარგად გვირგვინდება. ყველაზე მთვარი დისციპლინა და პასუხისმგებლობაა საქმის მიმართ.

სტაჟით და საკუთარი შემოქმედებითი ხელწერით ნამდვილად გამოვირჩევით და მიმაჩნია მიღებული ჯილდოები: თასები, მედლები და სიგელები ცოდნის, გამოცდილების და უსაზღვრო შრომის შედეგია. თუმცა ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო ჩემი გოგო-ბიჭების გაბრწყინებული თვალებია, ჩვენი უპირველესი მიზანი კი ქართული ცეკვების პოპულარიზაცია.

უნდა გითხრათ, რომ საქართველოში პირველად ჩვენ ერთად შევძელით ორი დიდი ქორეოგრაფიული კომპოზიციის შექმნა:

-ქორეორაფიული თეატრალური კომპოზიცია ფოლკლორში შერწყმული „გორდა", კომპოზიტორი დ. თორაძე და ჯაზ-ფოლკლორული ქორეოგრაფიული კომპოზიცია ვახტანგ კახიძეს შემოქმედებიდან „დიმპიტაური".

რამდენი წევრი გყავთ ანსამბლში, რამდენი ჯგუფი?

ამჟამად ანსამბლში 120-130 მოცეკვავე გვყავს და ოთხი სტუდიის ჯგუფი.

ხშირად მონაწილეობთ სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ და საკმაოდ წარმატებით

ჩვენი ანსამბლი არაერთ ქვეყანაშია ნამყოფი, ვფიქრობ, რომ ჩვენი ბავშვები საკუთარ პროფესიონალიზს სცენაზე შეუდარებლად აჩვენებენ და წარმოაჩენენ ქართული ცეკვის ხიბლს.

აგვისტოში ვიმყოფებოდით ბულგარეთში, ერთ-ერთ ულამაზეს ანტიკურ ქალაქ ნესებირში, რომელიც იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. იქ ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი. ამ ფესტივალზე ყოველწლიურად საქართველოდან ბევრი ქორეოგრაფიული ანსამბლი ჩადის. ძალიან კარგი და ლამაზი დღეები გავატარეთ. ჩვენ გავხდით გრან-პრის მფლობელები.

თქვენი სამომავლო გეგმები, ცეკვის შესწავლის მსურველები თუ გყავთ?

მომავლის გეგმები ისევ ახალი კომპოზიციის შექმნა და განხორციელებაა. ვართ ძიებაში. ვცდილობთ დასაფასებელი დავაფასოთ და მიღებული პასუხისმგებლობა თაობებს და სენაკს გადავცეთ. სენაკი ჩვენი დიდი სიყვარულით სავსე ოჯახია, "მეგა" ანათებს სხვა მანათობელ ვარსკვლავებთან ერთად.

ცეკვის მსურველები ბევრია, როგორც პატარებში, ისე დიდებში. განსაკუთრებით წონისა და უმოძრაობის პრობლემების მქონე ქალბატონებში. ვარჯიში აუცილებელი და საუკეთესოა ჯანმრთელობისთვის და სილამაზისთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს გულშემატკივარს, ჩვენ კი ქართული ცეკვის პოპულარიზაციისათვის ენერგიას არ დავიშურებთ.

მაია გერგაია

„მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი"

ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებისეული სამუშაო გამოცდილება დაუგროვდათ, მოცალეობის ჟამს ხშირად ფიქრობენ განვლილ დღეთ ყოფაზე, გონებით უბრუნდებიან წარსულის მნიშვნელოვან მომენტებს, მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს, საინტერესო თუ რთულ ეპიზოდებს,.. მათ ყველაზე კარგად უწყით საკუთარი ცხოვრების ნიუანსები.,ამიტომ ყველაზე დიდი შემფასებელი და კრიტიკოსი თავად არიან განვლილი გზისა. მიუხედავად ამისა ჩვენი ვალია, მუდამ გვახსოვდეს მათი გარჯა-ამაგი, უფრო მეტიც, მათ მიერ დაგროვილი გამოცდილება საგზლად უნდა გავაყოლოთ თაობებს, თავად კი გული გავუთბოთ, მოვეფეროთ, მადლობა ვუთხრათ.

ასეთი ადამიანები მუნიციპალიტეტს ბევრი ჰყოლია და ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი, ქალბატონი მზია ბარქაია იუბილარია. მისი ცხოვრება იმდენად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომ მოზაიკას ჰგავს ფერთა სიუხვით გაჯერებულს. სად არ უმუშავია, რომელ სფეროში არ გამოუცდია თავი. მისი ბიოგრაფია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ყველა ნიუანსს ამ საგაზეთო წეროლში ვერ მოვუყრით თავს, ამიტომ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს შტრიხებს შევეხებით.

იგი დაიბადა 1943 წლის 5 აგვისტოს, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკურ სასწავლებელში. 1962 წლიდან სოფელ ზანის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელია. 1963 წლიდან კი პიონერთა სახლის წრის ხელმძღვანელი. 1964 წელს დაინიშნა მეორე საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად, ამავე პერიოდში ირჩევენ საკავშირო ყრილობის დელეგატად. 1967 წელს ა. წურწუმიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებს, ამავე დროს არის პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, ორგზის საქართველოს ალკკ ყრილობის დელეგატი. 1982 წლიდან მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი. ამასთან ადგილობრივი რადიოს საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქტორი. შემდეგ ხალიჩების კომბინატის კადრების განყოფილების უფროსი. 1989-1994 წლებში სახალხო განათლების კადრების ინსპექტორი. 1995-99 წლებში აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის მოადგილე. 2010 წელს წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოვდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის სიგელით.

ქალბატონ მზიას საოჯახო არქივი უხვად ინახავს მისი ღვაწლის დაფასება-აღიარების მაუწყებელ ჯილდოებს. ასე მაგალითად, საიუბილეო მედალს შრომითი მამაცობისათვის, რესპუბლიკის სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდო ნიშნით, ოქროს მედალსა და პირველი ხარისხის დიპლომს საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის მომზადებისა და აქტიური მონაწილეობისათვის, განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სიგელს ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის., პირველი ხარისხის დიპლომს რესპუბლიკურ კონკურსში ,,კითხულობს მასწავლებელი" გამარჯვებისათვის, მინიჭებული აქვს მხატვრული კითხვის ოსტატის წოდება, იყო არაერთი რაიონული ღონისძიების ავტორი. წლების მანძილზე (17 წელი) ასრულებდა რაიონული სასამართლოს მსაჯულს ფუნქციას.

2013 წელს ქალბატონ მზიას მუნიციპალიტეტმა დამსახურებულად 70 წლის იუბილე გადაუხადა. მას აქეთ წლები თვალსა და ხელს შუა უჩუმრად გაპარულა, კალენდარზე კი 80 წელი მარცვალ-მარცვალ ჩამომარცვლილა. ჩვენი რესპოდენტი კი დრო-ჟამთან ჭიდილში გამობრძმედილი ენერგიულად მიუყვება გზას ცხოვრებისას. იგი წლებია მეშვიდე საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელია, ამასთან სხვა აქტივობებითაც ინტერესდება. ასე მაგალითად: აღნიშნულ სკოლის მიმდინარე ახალი სასწავლო წლის საზეიმო ღონისძიება ისე დაუგეგმავს, რომ მოწვეული სტუმრების აღფრთოვანება გამოუწვევია.

ქალბატონო მზია, იქნებ თქვენს სულში ჩაიხედოთ და გვითხრათ ვინ არის მზია ბარქაია?

ჩემი განვლილი 80 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც ჩანს განვლილი გზის ძირითადი მონაკვეთები, ცხოვრებისეული სირთულეები, წარმატებები. დროს არ ჩამოვრჩენილვარ, წელთა სიმრავლეს არ ვეპუებოდი, ყოველთვის ვპასუხობდი მოთხოვნებს, ერთგულებით, პატიოსნებით, უხმაუროდ, თავდადებული საქმიანობით, რათა საკუთარი წვლილი შემეტანა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისა და დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

თქვენი ცხოვრებისეული გზა მრავალფეროვანია, გვაინტერესებს თქვენი საბავშვო და თოჯინების თეატრის ფესვები, იდეა როდის გაგიჩნდათ და მისი ხორცშესხმა როგორ განავითარეთ?

ჩემი ცხოვრების გზა მართლაც მრავალფეროვანია, 1995 წლის 15 მაისს დავინიშნე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის მოადგილედ. ერთ მშვენიერ დღეს, თეატრის მიმდებარე ეზოში შევნიშნე ბავშვები თამაშობდნენ, მიუახლოვდი, გავესაუბრე და შევთავაზე კვირაში ორი დღე მესწავლებინა გამომეტყველებითი კითხვა. ასე გავხსენით თეატრში დირექტორთან შეთანხმებით, ანაზღაურების გარეშე თეატრალური სექტორი. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მეც მათთან ერთად ვხარობდი. ასე დავდგით გ. ჭიჭინაძის ორ სურათიანი ,,გუგულის ბარტყი" – პროლოგად გაზაფხული უძღოდა. მონაწილეობდა 30 მოსწავლე. დირექციისა და მაყურებლის მადლობა დავიმსახურეთ.

2010 წლიდან ვმუშაობ სენაკის №7 საჯარო სკოლაში. მისვლისთანავე გავხსენი თოჯინების თეატრი. დავდგი სპექტაკლი ,,ძალა ერთობაშია"-ჩემი ავტორობით. მუსიკალური გაფორმება ლიკა ნარსიას ეკუთვნის.

ხომ ვერ გაიხსენებთ ბავშვობის წლებს?

სამი კლასი დავამთავრე ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლაში. მეოთხე-მეხუთე კლასი ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლაში, საშუალო განათლება კი მივიღე ცხაკაიას პირველ სკოლაში.

ის ადამიანები ვინ არიან, რომლებმაც თქვენში რიდისა და მოწიწების გრძნობა დატოვეს?

ბევრნი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ჩემში რიდისა და მოწიწების გრძნობა დატოვეს. ჩამოთვლა იქნებ ყველასი ვერ შევძლო. ვეცდები, მაინც ჩამოვთვალო: ქალბატონი ელენე ადამია, ლამარა რატიანი, ნინა გუგუნავა, ვლადიმერ დავითაია, ნოე შონია, აკაკი განგია, კალისტრატე შარტავა, ზურაბ ხოჭოლავა, ბონდო უჩანეიშვილი, ლირა ჯღარკავა, აზა მატახარია, მიშა ქურდოვანიძე, ჩემი პირველი მასწავლებელი დუნია კეკუსაძე...

თქვენი თაობისათვის წიგნი რა ,,ხილი" იყო?

ჩვენი თაობისათვის წიგნი ,,ცოდნის თავწყარო" იყო და იქნება მუდამ.

ამ გადმოსახედიდან რა შეგიძლიათ უთხრათ თანამედროვე ახალგაზრდობას?

მე შემიძლია ამ გადმოსახედიდან ვუთხრა თანამედროვე ახალგაზრდობას, რომ უნდა იზრუნონ ნათელი კვალისთვის. ყოველი დროება და ეპოქა-ერს, ხალხს, ახალ მოთხოვნებს უყენებს, თუ ერი ამ დროებას და ეპოქას ჩამორჩა, იგი ძველ ღირსებასაც კარგავს. ერი, ხალხი, ყოველთვის უნდა იბრძოდეს უკეთესობისათვის, წინსვლისათვის, სამშობლო ხალხია, სწორედ სიკეთე განსაზღვრავს სამშობლოს ღირსებასაც. რამდენადაც ხალხი კარგია,შრომისმოყვარე, განათლებული, მოაზროვნე, კეთილი, სათნო, შემოქმედი, გულადი, პურადი-იმდენად სამშობლო ძლიერია. ამიტომ ვეცადოთ ნათელი კვალი დავტოვოთ.

რა არის ის უმთავრესი, რაც 80 წლის მანძილზე გიტარებიათ და დღესაც ძალას გმატებთ?

ჩემთვის უმთავრესია ღირსება, რაც 80 წლის მანძილზე მიტარებია, რაც დღესაც ძალას მმატებს ვემსახურო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. უსაზღვროდ მიყვარს ჩემი მოსწავლეები... ჩემი ქვეყანა, ჩემი სენაკი.

უდიდეს პატივს ვცემ საზოგადოების აზრს. საზოგადოების აზრზე მაღალი

ჯილდო კაცობრიობას არ გამოუგონია.

ქალბატონო მზია, ეს თქვენ ხართ ,,მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი", აღზრდილებისთვის თქვენ მზია ,,მასწ" ხართ, საზოგადოებისთვის, კოლეგებისთვის ახალგაზრდული ენერგიით, შემართებით აღვსილი ამაგდარი ადამიანი. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან უამრავ აღზრდილთა სიყვარული და სითბო თქვენსკენაა მომართული, რათა მათი დარი გოგო-ბიჭები კვლავაც ზარდოთ.

ქალბატონო მზია! ჩვენი რედაქციის სახელით გილოცავთ 80 წლის იუბილეს, თქვენი დღეგრძელობა იყოს თქვენი მრავაჟამიერი!

ნინო სართანია

საინტერესო აქტივობებს გპირდებით

ცოტნე ეჯიბია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (პოლიტიკური მეცნიერება) II კურსის სტუდენტია. არის 100% გრანტის მფლობელი, არაერთი საუნივერსიტეტო და სამოქალაქო პროექტის, საერთაშორისო კონფერენციის, ესსეების კონკურსის გამარჯვებული.

ახლახან სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში გაიმარჯვა მისმა ინიციატივამ გაზეთ ,,კოლხეთის" ძველი ნომრების გაციფრულებასთან დაკავშირებით. ახლო მომავალში მიემგზავრება გერმანიაში გაეროს მოდელირების ზამთრის სესიაზე, როგორც სააუკეთესო დელეგატი.

სექტემბრის დასაწყისში ცოტნე იმყოფებოდა პორტუგალიაში UEFA-ს ჩართულობით ორგანიზებულ კომპიუტერული სპორტის ევროპის ჩემპიონატზე დელეგატის რანგში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა კარგად უთავსებს ერთმანეთს სწავლას, მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობას და სპრტულ აქტივობას.

სენაკელი ახალგაზრდა შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და კომპიუტერული სპორტის სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ იმყოფებოდით პორტუგალიის ქალაქ პორტოში ევროპის ჩემპიონატზე, კომპიუტერულ ფეხბურთში, როგორც დელეგატი. გვიამბეთ მოკლედ ამ ვიზიტის შესახებ.

7-9 სექტემბრის შუალედში, ქალაქ პორტოში მიმდინარეობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საფეხბურთო სამიტი ''Thinking Football Summit 2023'', რომლის პარალელურადაც გაიმართა ევროპის ჩემპიონატი კიბერსპორტულ სახეობა ,,eFootball''-ში. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას რატი ნანავა იცავდა, რომელმაც ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო, საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაციის დელეგატი კი მე გახლდით.

რა სახის შეხვედრები და თამაშები გაიმართა, ვინ იყვნენ ის ცნობილი სახეები საფეხბურთო სფეროდან, რომლებთანაც შეხვედრის შესაძლებლობა გქონდათ.

სამიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ისეთ ცნობილ სახეებთან, როგორებიც არიან რო-

ბერტო კარლოსი, პატრის ევრა, რიკარდო პერეირა, ესპანეთის ''ლა ლიგის'' პრეზიდენტი ხავიერ ტებასი, ფიფასა და უეფას წარმომადგენლები. გარდა პანელური დისკუსიებისა მომეცა შესაძლებლობა დავსწრებოდი სხვადასხვა მასტერ კლასებს, რომლებსაც პროფესიონალი საფეხბურთო მენეჯერები, აგენტები და კლუბების პრეზიდენტები უძღვებოდნენ. რაც შეეხება თამაშებს, პირველ სატურნირო დღეს რატიმ ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა, რომლის დაძლევაც წარმატებით მოახერხა და ნახევარფინალურ რაუნდში ესპანელ მოთამაშეს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთან მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით, თუმცა რატიმ შეძლო მესამე ადგილისათვის მატჩში გამარჯვების მოპოვება ლუქსემბურგის წარმომადგენლის წინააღმდეგ.

რა ღირსშესანიშნაობებით გამოირჩევა ქალაქი პორტო?

ჩასვლისთანავე თვალშისაცემი და აღმაფრთოვანებელია ქალაქის არქიტექტურა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პორტოს ჭეშმარიტად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი იერსახე. აქ შეხვდებით ისტორიულ შენობა-ნაგებობს, ტაძრებს, რომლებსაც ყოველდღიურად ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს, თუმცა ძირითად ღირსშესანიშნაობებს მაინც ულამაზეს მდინარეებზე გაშენებული საოცარი ხიდები წარმოადგენს. აგრეთვე, გამოვარჩევდი ვიწრო ქუჩებსა და ფერადი ფასადებით მოწყობილ სახლებს, რაც დამთვარიელერებს პოზიტიურ განწყობას უქმნის.

საერთოდ პორტუგალია მდიდარი ისტორიის მქონე ულამაზესი ქვეყანაა უდუდესი წარსულით, შესანიშნავი არქიტექტურით, ბუნებრივი პარკებით და ნაკრძალებით...

რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში ახალგაზრდები დაინტერესდნენ სპორტის ამ სახეობით და გაიზარდოს მაყურებელთა რაოდენობა.

საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია დავით ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით უკვე 20 წელზე მეტია ცდილობს ქვეყანაში კიბერსპორტის განვითარებას. ჩვენი ორგანიზაცია არის აბსოლუტურად ყველა გლობალური ფედერაციის სრულფასოვანი წევრი და წარმომადგენელი. ჩვენი გუნდის მიერ ორგანიზებული აქტივობები თვითრეალიზაციის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ქართველ ახალგაზრდებს. გასული წლების განმავლობაში საქართველოს დელეგაცია არის პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ჩემპიონატის მონაწილე. რაც შეეხება ჩართულობის ზრდას - ჩვენი უცვლელი და უმთავრესი მიზანია ეს სფერო ვაქციოთ კულტურად. აშკარაა, რომ მივიწევთ წინ, თუმცა ცხადია ეს არ არის საკმარისი. სექტემბრიდან ვიწყებთ ახალ სეზონს, გაორმაგებული მოტივაციითა და ენთუზიაზმით. ვართ დიდი სიახლეების მოლოდინში და გპირდებით უამრავ საინტერესო აქტივობას. მიმაჩნია, რომ კიბერსპორტის წარმატების ფორმულა დამოკიდებულია მის სწორ მოხმარებაზე და ჯანსაღი ცხოვრების სინთეზზე. უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერულ სპორტს თანამედროვე სამყაროში დიდი და მზარდი დატვირთვა აქვს.

ბაჩანა სართანია

30 წელი სოხუმის დაცემიდან

ზაურ ლომია

50 წელი უშენოდ ზაურ. მენანები, როგორ მენანები – ამ სიტყვებით დამემშვიდობე. 28 წლის ასაკში მომარგე ქვრივის მანდილი. მწარედ დავეცი როგორც ქალი. ღმერთმა გამაძლიერა როგორც დედა. მიზნად დავისახე, რომ გამეზარდა 2-წელ ნახევრის და წლინახევრის შვილები, კახა და გია ლომიები კარგ ადამიანებად – პირნათლად შევასრულე. ყოველთვის ვფიქრობდი სიკეთე მეკეთებია, მხოლოდ სიკეთე, სადაც არ ვიმყოფებოდი, სახლში თუ სამსახურში.

უჩინარი იდუმალება ყურში ჩამჩურჩულებდა. ,,ის აქ არის". ,,ის"-შენ იყავი ზაურ, ასე გატარე ჩემს გვერდით წლები, გიბრუნებ შენს სიტყვებს - მენანები, როგორ მენანები, რომ ვერ ნახე შენი შვილების დაოჯახება... გყავს კარგი შვილიშვილები: თამუნა, ზუკა და ლუკა ლომიები, შვილთაშვილები ანასტასია და ნინი ვახანიები. თუ, არადა როგორი კარგი მამა და ბაბუა იქნებოდი ჩემო კარგო ადამიანო. დავიხარჯე ჩემი პატიოსანი შრომით, ზნეობით და ღირსებით. შევძელი კი ჭეშმარიტად?

ეს განსაჯონ ჩვენმა ნათესავებმა და სენაკელებმა.

გული გუგუნავა-ლომია

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათერია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499